



ემისიის №
GE 123 000 3190 -1-02
ISIN -
GE 1230003190

4 სექტემბერი 2012 წ.

სს "ლიბერთი ბანკი"

ემისიის პროსპექტი

წინამდებარე დოკუმენტი ("ემისიის პროსპექტი") მომზადებულია სს "ლიბერთი ბანკის" ("ემიტენტი", "ბანკი") მიერ 10,000,000 პრივილეგირებული აქციის ყოველწლიური დივიდენდის მიღების უფლებით, გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების ("შეთავაზება") მიზნებისთვის, რომლის ნომინალური ღირებულებაც ერთი თეთრია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების შესახებ

განთავსების აგენტი
შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

LIBERTY SECURITIES

აგვისტო, 2012

სარჩევი

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ.....	3
2. პრივილეგირებული აქციების საჯარო შეთავაზების პირობები.....	4
3. რისკები	7
4. "ემიტენტის" საქმიანობის მიმოხილვა.....	11
5. "ემიტენტის" ფინანსური ანგარიშები	14
6. "შეთავაზების" შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენება	26
7. მნიშვნელოვანი ინფორმაცია.....	26
8. დანართი	28

1. ინფორმაცია "ემიტენტის" შესახებ

საფირმო სახელწოდება	სს ლიბერთი ბანკი ("ემიტენტი", "ბანკი")
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74
საიდენტიფიკაციო კოდი	203828304
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი	27/03/1995
განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და კლასი	"ემიტენტს" განთავსებული აქვს 4,468,637,039* (ოთხი მილიარდ ოთხას სამოცდარვა მილიონ ექვსას ოცდაჩვიდმეტი ათას ოცდაცხრამეტი) ჩვეულებრივი აქცია
საკონტროლო წილის მფლობელი	შპს ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია, 68.81% წილის (განთავსებული ფასიანი ქაღალდებიდან)* მფლობელი (საიდენტიფიკაციო კოდი - 205286322)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	<ul style="list-style-type: none"> - ვლადიმერ გურგენიძე - მელანი ჩენი (Melanie Chen) - იაპ როტხანსი (Jaap Rotgans)

* ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის სს"კავკასრეესტრის" მონაცემები, 2012 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

2. პრივილეგირებული აქციების საჯარო შეთავაზების პირობები

ემიტენტი	სააქციო საზოგადოება "ლიბერტი ბანკი"
ინსტრუმენტი	სს "ლიბერტი ბანკის" პრივილეგირებული აქციები
საჯარო შეთავაზება	პრივილეგირებული აქციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება კერძო და ინსტიტუციონალურ ინვესტორებზე საქართველოში.
აქციების ტიპი	საჯარო შეთავაზების ფარგლებში "ემიტენტი" ახორციელებს პრივილეგირებული აქციების შეთავაზებას, გამოთხოვნის შესაძლებლობის გარეშე, ყოველწლიური ფიქსირებული დივიდენდის მიღების უფლებით.
აქციების ფორმა	პრივილეგირებული აქციები შეთავაზებული და გასხვისებული იქნება არამატერიალიზებული სახით, ანუ პრივილეგირებული აქციების რეგისტრირებულ მფლობელებად მიიჩნევიან ის მფლობელები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ან ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში.
აქციების ვადა	უვალო
დივიდენდის განაკვეთი	დივიდენდის განაკვეთი ტოლია პრივილეგირებული აქციის განთავსების ფასის 17 პროცენტისა.
<u>დივიდენდის გადახდა</u>	<u>დივიდენდის გადახდა მოხდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის ივნისში, პრივილეგირებული აქციის მფლობელის ლიბერტი ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე</u>
დივიდენდის გადახდის გაუქმების პირობა	იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშგებო წელს "ბანკმა" მიიღო ფინანსური ზარალი, ან მისი ფინანსური შედეგები არადადამაკმაყოფილებელია, ან იარსებებს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი მოთხოვნა, ან დადგება სხვა ფორსმაჟორული შემთხვევები, "ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციით, "ბანკის" აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია გასული საანგარიშგებო წლის გადასახდელი დივიდენდის გადახდის უპირობო გაუქმება.

აქციების რაოდენობა	„შეთავაზების“ ფარგლებში „ემიტენტი“ გამოუშვებს არაუმეტეს 10,000,000 პრივილეგირებული აქცისა.
აქციის ნომინალური ღირებულება	ერთი პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულებაა ერთი თეთრი.
აქციის ფასი განთავსებისას	ერთი ლარი
ანგარიშსწორების ვალუტა	ლარი
კონვერტირების პირობა	2014 წლის 1 იანვრიდან პრივილეგირებული აქციის მფლობელს ექნება უპირობო უფლება დააკონვერტიროს პრივილეგირებული აქციები „ბანკის“ ჩვეულებრივ აქციებში 14 დღიანი წინასწარი მომართვის პირობით.
კონვერტაციის ფასი	კონვერტაციისას „ბანკის“ ჩვეულებრივი აქციის ფასი განისაზღვრება კონვერტაციის მომენტისათვის მისი წინა წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით აუდიტირებული საბალანსო ღირებულების 105%-ით, ხოლო პრივილეგირებული აქციის ფასი - მისი განთავსების ფასით.
დამატებითი შეღავათები პირველად განთავსებაზე	პრივილეგირებული აქციის ყველა მყიდველს, „ბანკი“ სთავაზობს უფასოდ გაწევრიანდეს „ლიბერთი ბანკის მხარდამჭერთა კლუბში“ შემდეგი სტატუსით: „სტანდარტი“, „ბრინჯაო“, „ვერცხლი“, „ოქრო“ და „პლატინა“, საჯარო განთავსებისას შემენილი პრივილეგირებული აქციების რაოდენობის მიხედვით (დეტალური აღწერილობა იხილეთ დანართში).
განთავსების აგენტი	შპს ლიბერთი სიქიურითიზ („განთავსების აგენტი“)
რეგისტრატორი	2009 წლის 7 სექტემბერს „ემიტენტის“ დამოუკიდებელ რეგისტრატორად დანიშნული იქნა სს „კავკასრეესტრი“ („რეგისტრატორი“), რომელიც დღემდე აგრძელებს „ემიტენტთან“ ამ რანგში თანამშრომლობას.
ხელმოწერის პროცედურა	პოტენციური ინვესტორები გამოხატავენ ინტერესს პრივილეგირებული აქციების შესყიდვის შესახებ ქვემოთ მიმაგრებული განაცხადის (სავაჭრო დავალების ბილეთი) „განთავსების აგენტისთვის“ წარდგენით. „ემიტენტსა“ და

„განთავსების აგენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულების დეტალები იხილეთ დანართში), პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს პრივილეგირებული აქციების შესყიდვის შესახებ განაცხადის (სავაჭრო დავალების ბილეთის) „განთავსების აგენტისთვის“ წარდგენა და შესაბამისად, პრივილეგირებული აქციების შესყიდვა განახორციელოს სს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებისა და სერვის ცენტრების მეშვეობით.

შეთავაზების თარიღი

2012 წლის 1 სექტემბერი

შეთავაზების დასრულება

„შეთავაზება“ ძალაშია 2013 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

საფონდო ბირჟაზე დაშვება

„შეთავაზების“ დასრულების შემდეგ პრივილეგირებული აქციები შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

მეორადი ბაზარი

პრივილეგირებული აქციები თავისუფლად გაიყიდება მეორად ბაზარზე. თუმცა, არც „ემიტენტი“ და არც „განთავსების აგენტი“ არ არიან პასუხისმგებელი შეინარჩუნონ აქტიური სავაჭრო ბაზარი პრივილეგირებულ აქციებზე. „განთავსების აგენტს“ შეუძლია, თავისი სურვილისამებრ, პერიოდულად გამოაქვეყნოს თავის ვებ-გვერდზე (www.libertysecurities.ge) ან საჯაროდ გაავრცელოს ანგარიშები პრივილეგირებული აქციებზე არსებული ყიდვისა და გაყიდვის ფასების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია

„შეთავაზების“ ფარგლებში არ ხორციელდება ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სახელით ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

3. რისკები

წინამდებარე "შეთავაზება" მიზნად ისახავს პოტენციური ინვესტორების მიერ პრივილეგირებულ აქციებში ინვესტირებას. პრივილეგირებულ აქციებში ინვესტირება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. პრივილეგირებული აქციის მფლობელები მზად უნდა იყვნენ და გააჩნდეთ შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა და სურვილი მიიღონ პრივილეგირებული აქციებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც სხვა დანარჩენ რისკებთან ერთად მოიცავს განხორციელებული ინვესტიციებით შექმნილი პრივილეგირებული აქციების გაუფასურების ალბათობას.

საქართველოსთან დაკავშირებული რისკები

სწრაფად მზარდი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ბაზრებზე ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება უფრო მეტი რისკის შემცველია, ვიდრე განვითარებული (ინდუსტრიული) ქვეყნების კორპორატიულ თუ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირება. აღნიშნული რისკები მოიცავს საფონდო ბაზრების რყევებს, ლიკვიდურობის დაბალ დონეს, შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და რეგულატორული გარემოს ცვლილებებს და სხვა. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებზე, მათ შორის საქართველოზე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე რეცესიული პროცესები და გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები. ამგვარი კრიზისების არსებობამ მომავალში, აგრეთვე სოციალურმა ან გეოპოლიტიკურმა არსტაბილურობამ შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპებზე და გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკის გაუარესება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკთან" დაკავშირებული რისკები

საქართველოს საბანკო სექტორი კონკურენციის მაღალი დონით ხასიათდება და მომავალში კონკურენციის დონე შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს. "ბანკის" რამდენიმე ძირითად კონკურენტს გააჩნია „ბანკზე“ უკეთესი წვდომა საერთაშორისო დაფინანსების წყაროებზე და გააჩნია „ბანკზე“ მეტი კაპიტალი და ფინანსური რესურსები. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" მოახერხებს წარმატებული კონკურენცია გაუწიოს თავის ძირითად კონკურენტებს. გაზრდილმა კონკურენციამ ან/და კონკურენტულ ჭიდილში „ბანკის“ წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს "ბანკის" შესაძლებლობაზე შეინარჩუნოს შემოსავლებისა და მომგებიანობის ამჟამინდელი დონე, რამაც თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკის" სტრატეგია მიზნად ისახავს მრავალფუნქციური სადისტრიბუციო ქსელის (მობილური სერვის-ცენტრების ჩათვლით) და ელექტრონული მომსახურების არხების შემდგომ მოდერნიზაციას და გაუმჯობესებას, რათა სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილებები მარტივი, სწრაფი და ამავდროულად მაღალი ხარისხის მომსახურების მიღების კუთხით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" მოახერხებს წარმატებით განახორციელოს თავისი სტრატეგიის ზემოთ აღნიშნული, ან სხვა კომპონენტები, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გაწევას და, შესაბამისად, "ბანკის" მიერ დამატებითი კაპიტალის მოზიდვას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია გლობალურ და ადგილობრივ საბაზრო და ეკონომიკურ ვითარებაზე. „ბანკის“ წარუმატებლობამ თავისი სტრატეგიის განხორციელების მიმართულებით შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკი" ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გაცემულ ლიცენზიას და ექვემდებარება სების რეგულაციებსა და მოთხოვნებს. ზოგიერთი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება "ბანკს" 2009 წლის სექტემბერში 2012 წლის სექტემბრამდე გადაუვადდა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული

ვადის დადგომის შემდგომ "ბანკი" მოახერხებს არსებული ან მომავალში დაწესებული მოთხოვნების ყოველთვის და სრულად დაკმაყოფილებას. "ბანკის" მომგებიანობა და მდგრადი განვითარება მომავალში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია მის უნარზე განაგრძოს სასესხო პორტფელის ზრდა. ამ კუთხით, "ბანკი" ისტორიულად კლიენტების ანგარიშებზე ნაშთებიდან და დეპოზიტებიდან მიღებულ დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" მოახერხებს მიიღოს საკმარისი დაფინანსება სხვა წყაროებიდან გარდა კლიენტების ანგარიშებზე ნაშთებისა და დეპოზიტებისა, ან მოახერხებს დაფინანსების მოძიებას მისაღები პირობებით, ან საერთოდ შეძლებს დაფინანსების მიღებას, რამაც შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკის" კლიენტების სახსრები და დეპოზიტები მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება და იმ შემთხვევაში, თუ "ბანკი" ვერ შეძლებს კლიენტების სახსრებისა და დეპოზიტთა ბაზის შენარჩუნებას, დივერსიფიკაციას და ზრდას, ამან შესაძლოა "ბანკი" არასაკმარისი ლიკვიდურობის რისკის ქვეშ დააყენოს. "ბანკი" მომხმარებლებზე სესხების გაცემას ძირითადად ეროვნულ ვალუტაში ახორციელებს. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" შეძლებს უზრუნველყოს მისი ლარში არსებული სასესხო პორტფელის ზრდის დაფინანსება, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს "ბანკის" მომგებიანობაზე, კაპიტალის ადეკვატურობასა და მის ბიზნეს სტრატეგიაზე, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ისტორიულად, "ბანკი" მაღალ საკომისიო შემოსავლებს ღებულობდა, რომელიც 2012 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ თვეში 3.3 მლნ ლარს შეადგენდა. 2012 წლის ივლისიდან აღნიშნული მაჩვენებელი თვეში დაახლოებით 1.8 მლნ ლარამდე შემცირდა და შესაძლოა ეს საშუალო თვიური მაჩვენებელი შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შენარჩუნდეს, უმნიშვნელოდ გაიზარდოს, ან სულაც შემცირდეს. მზარდი კონკურენციის პირობებში "ბანკს" შესაძლოა მოუწიოს ზოგიერთ, მისთვის ტრადიციულ, ბაზრის სეგმენტზე სესხებზე და ავანსებზე საპროცენტო და საკომისიო განაკვეთის შემცირება, რაც მის საპროცენტო შემოსავალს შეამცირებს. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" შემოსავლების ამგვარი კლების კომპენსირებას შემოსავლის სხვა წყაროებიდან მოახერხებს, რამაც შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" მომგებიანობაზე, მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკის" საქმიანობა, მისი ფინანსური წარმატება და სტრატეგიული მიზნების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და მის სანდოობაზე. "ბანკი" აცნობიერებს საჭიროებას და გეგმავს განაგრძოს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გაწევა, რათა საოპერაციო საქმიანობის უწყვეტობისა და გამართულობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს, განავითაროს და გააუმჯობესოს არსებული და დამატებით შეიძინოს კომპიუტერული პროგრამები და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები. ნებისმიერმა შეფერხებამ "ბანკის" ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების ფუნქციონირებაში ან ამ სისტემების შემდგომში სრულყოფაში შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" მომგებიანობაზე, მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

"ბანკი" არ გამოირიცხავს, რომ მომდევნო 6-12 თვის მანძილზე შესაძლოა დაჭირდეს დამატებითი სესხების შესაძლო დანაკარგებისა და სხვა გარკვეული აქტივების შესაძლო დანაკარგებისთვის 10 მლნ ლარამდე ოდენობით დამატებითი რეზერვის შექმნა. ამ მასშტაბით დამატებითი რეზერვის შექმნა, თუკი ეს საჭირო გახდა, ნეგატიურად იმოქმედებს "ბანკის" მომგებიანობაზე, კაპიტალის ადეკვატურობასა და მის მდგრად განვითარებაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირება

"ბანკი" ექვემდებარება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ რეგულაციებს. სებ-ის მიერ დაწესებულმა მოთხოვნებმა, რომლებიც ფინანსური ბაზრის ეფექტიანად

მუშაობას უზრუნველყოფს და მიმართულია მომხმარებელთა და სხვა მესამე პირთა დაცვისკენ, რომლებთანაც ურთიერთობა გააჩნია "ბანკს", შესაძლოა შეზღუდოს "ბანკის" აქტივობა და გაზარდოს მისი დანახარჯები.

საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს საქართველოს საბანკო ზედამხედველობის რეგულირება 2013 წლის იანვრიდან საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების, "ბაზელი II/III"-ის, პრინციპების შესაბამისად განახორციელოს. "ბაზელი II/III"-ის მიზანია საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლა განხორციელდეს უფრო მაღალი რისკების არსებობის პირობებში და დაინერგოს უფრო ეფექტური და მრავალფეროვანი რისკების მართვის პრაქტიკა.

საბანკო ზედამხედველობის "ბაზელი II/III"-ის პრინციპებზე გადასვლა სებ-ის მხრიდან ახალი რეგულაციების მიღებას მოითხოვს. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს "ბანკის" შესაძლებლობებზე განახორციელოს მისი სტრატეგიული გეგმები, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, კაპიტალის ადეკვატურობაზე, მდგრადი განვითარების პერსპექტივაზე და საოპერაციო შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ "ბანკმა" განახორციელა მრავალმხრივი ფულის გათეთრებისა და ტერორისტული ფინანსირების საწინააღმდეგო (anti-money laundering and terrorist financing, "AML/TF") და "მომხმარებლებზე ინფორმაციის ცოდნის" ("know-your customer", "KYC") პოლიტიკა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ, ამ მიმართულებით რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მუდმივი გამკაცრების ფონზე გატარებული პოლიტიკა და პროცედურები აღმოჩნდება ეფექტური, სრული და ყოვლისმომცველი, რამაც შესაძლოა რეგულატორის მიერ ჯარიმების დაკისრება გამოიწვიოს და უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

უმაღლეს მენეჯმენტზე და კვალიფიციურ თანამშრომლებზე დამოკიდებულება

"ბანკი" დამოკიდებულია მის უმაღლეს მენეჯმენტზე მისი სტრატეგიის განხორციელებისა და ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის უზრუნველყოფის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ "ბანკს" ამჟამად შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მენეჯმენტის ყველა წევრთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკის" მენეჯმენტის წევრები გააგრძელებენ მათი მომსახურების გაწევას "ბანკისადმი" გრძელვადიან პერიოდში ან მომავალში იქნებიან ბანკის თანამშრომლები სრული სამუშაო განაკვეთით.

"ბანკის" წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია მის უნარზე შეინარჩუნოს და მოიზიდოს კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი და იზრუნოს მათი მოტივაციის ამაღლებაზე. საქართველოს საბანკო სექტორში კვალიფიციურ და გამოცდილ პერსონალზე მაღალი და მზარდი კონკურენციაა, მათი მოთხოვნასთან შედარებით არაპროპორციულად დაბალი რაოდენობის გამო. "ბანკის" ზრდასთან ერთად კვალიფიციურ პერსონალზე მოთხოვნაც გაიზრდება. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" შეძლებს წარმატებით მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური პერსონალი, რამაც შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საბაზრო რისკები

"ბანკის" საქმიანობა დაკავშირებულია საბაზრო რისკებთან, რომელიც მოიცავს სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს. მიუხედავად იმისა, რომ "ბანკი" ახორციელებს სხვადასხვა ქმედებებს სავალუტო რისკის შესამცირებლად, ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე.

"ბანკის" საქმიანობა აგრეთვე, დაკავშირებულია რისკებზე, რომელიც გამოწვეულია საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის შეუთავსებლობით. მიუხედავად იმისა, რომ "ბანკი" აკონტროლებს საპროცენტო

განაკვეთებს აქტივებზე და ვალდებულებებზე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს "ბანკის" ფინანსურ მდგომარეობაზე. "ბანკის" საოპერაციო შედეგები დიდად არის დამოკიდებული წმინდა საპროცენტო შემოსავალზე. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკის" მიერ განხორციელებული სტრატეგია და მენეჯმენტის ქმედებები დაიცავს მას მომავალში საპროცენტო განაკვეთების შემცირებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენისაგან. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანმა შემცირებამ შესაძლოა შეამციროს "ბანკის" წმინდა საპროცენტო შემოსავალი და უარყოფითად იმოქმედოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ლიკვიდურობის რისკი

"ბანკის" საქმიანობა დგას ლიკვიდურობის რისკის ქვეშ, რომელიც გამოწვეულია "ბანკის" აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის არსებული შეუთავსებლობით, რა მიზეზითაც შესაძლოა "ბანკმა" თავისი ვალდებულებები დროულად ვერ შეასრულოს. "ბანკი" პირდაპირ არის დამოკიდებული ვადიანი და მოთხოვნამდე ანაზრებით დაფინანსებაზე, რათა თავის მხრივ უზრუნველყოს სასესხო პორტფელის ზრდა. "ბანკის" ლიკვიდურობა იმართება ფასიანი ქაღალდების შექმნისა და გაყიდვის გზით, ბანკთაშორის სესხების აღებისა და გაცემის გზით, სებ-ისგან მიღებული სესხებისა და სავალო ინსტრუმენტების ემიტირების გზით, აგრეთვე, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და ლიკვიდურობის ანალიზის ჩატარების მეშვეობით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკი" შეძლებს მისი დაფინანსების დივერსიფიცირებას, რამაც შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საოპერაციო რისკები

"ბანკის" საქმიანობა დაკავშირებულია საოპერაციო რისკებთან. საოპერაციო რისკი არის შიდა პროცესებისა და სისტემების არაადეკვატური მოქმედებებით გამოწვეული ზარალის რისკი. "ბანკი" საოპერაციო რისკების კონტროლისა და მართვისთვის სხვადასხვა ქმედებებს ახორციელებს. საოპერაციო რისკების მართვა ხდება პროდუქტების, ოპერაციებისა და პროცესების ჭრილში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. ეს პროცესი მოიცავს ოპერაციული რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის ეტაპებს. რისკის შემცველი შემთხვევების გამოვლენის მიზნით განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, შექმნილია რისკების მონაცემთა ბაზა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საოპერაციო რისკების დადგომისას მათთან სათანადოდ გამკლავება და პერიოდულად ხორციელდება ამ შემთხვევების ანალიზი. საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორების თავმოყრა რეგულარულად ხდება რისკების ზოგად ანგარიშში ძირითადი სფეროების რისკიანობის სტატუსის შესაფასებლად. არ არსებობს იმის გარანტია, რომ "ბანკის" მიერ საოპერაციო რისკების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული ქმედებები წარმატებული აღმოჩნდება, რამაც შესაძლოა უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს "ბანკის" საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

პრივილეგირებულ აქციებთან და მათ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკები

"შეთავაზებამდე" პრივილეგირებული აქციებით ვაჭრობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ "ბანკი" "შეთავაზების" დასრულების შემდეგ განხორციელებს პრივილეგირებული აქციების საქართველოს საფონდო ბირჟაზე განთავსებას, "ბანკი" არ გამორიცხავს, რომ "ბირჟაზე" პრივილეგირებული აქციებით ვაჭრობა არ იყოს აქტიური და ბაზარი არ იყოს ლიკვიდური, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პრივილეგირებული აქციების საბაზრო ფასზე.

პრივილეგირებული აქციების საბაზრო ფასი და ვაჭრობის მოცულობა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის ფონზე შესაძლოა მნიშვნელოვანი რყევებით ხასიათდებოდეს. პრივილეგირებული აქციების

საბაზრო ფასისა და ვაჭრობის მოცულობის რყევები შესაძლოა არ იყოს პირდაპირ დაკავშირებული "ბანკის" საოპერაციო შედეგებთან.

პრივილეგირებული აქციების მფლობელების მიერ პრივილეგირებული აქციების გაყიდვამ სამომავლოდ, შესაძლოა პრივილეგირებული აქციების საბაზრო ფასის კლება გამოიწვიოს.

4. "ემიტენტის" საქმიანობის მიმოხილვა

"ბანკი" არის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკი, რომლის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა სახის საცალო და კორპორატიული საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაწევას, აგრეთვე პირადი ბანკირის სამსახურის პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებას. "ბანკი" იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს, თავის კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საბროკერო მომსახურებას. მისი სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს 290 (31 მარტი 2012) ფილიალი და მობილური სერვის-ცენტრი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში. "ბანკის" იურიდიული მისამართია: საქართველო, 0162, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74.

"ბანკი" მრავალფეროვან საცალო საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს, როგორცაა მიმდინარე ანგარიშები ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში, ვადიანი ანაზრები ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში, სამომხმარებლო სესხები, სტუდენტური სესხები, იპოთეკური სესხები, სახელფასე სესხები და ოვერდრაფტები, ანაზრით უზრუნველყოფილი სესხები, ავტო სესხები, საკრედიტო ბარათები და სხვა. "ბანკს" საქართველოში სიდიდით ყველაზე ფართო ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელი გააჩნია, რომელთა რაოდენობამ 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით 290 ფილიალი და მობილური სერვის-ცენტრი შეადგინა. მომსახურების გაწევის სხვა არხები 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით მოიცავდა 248 ბანკომატს, 1024 პოს-ტერმინალს, აგრეთვე, ინტერნეტ ბანკინგს, მობილურ ბანკინგს და "ბანკის" ქოლ ცენტრს.

"ბანკი" ფულადი გზავნილების ოპერაციებს 22 ფულადი გადარიცხვების პროვაიდერი კომპანიის მეშვეობით ახორციელებს, მათ შორის "ლიბერთი ექსპრესიტაც", რომელიც "ბანკის" მიერ შექმნილი ეროვნული ფულადი გადარიცხვების მომსახურების სისტემაა.

"ბანკი" საჯარო და კერძო სექტორში მოქმედ იურიდიულ პირებს მრავალფეროვან კორპორატიულ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის: მიმდინარე ანგარიშებს, ვადიან ანაზრებს, ანგარიშის მართვისა და ნაღდი ფულის მართვის მომსახურებებს, საკრედიტო ხაზებს, ოვერდრაფტებს, მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებს, საბანკო გარანტიებს, უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს და სხვა. "ბანკი" მომხმარებლებს კორპორატიულ საბანკო პროდუქტებს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში სთავაზობს.

"ბანკი" მაღალი შემოსავლის მქონე კლიენტებს პირადი ბანკირის მომსახურებას სთავაზობს. "ბანკი" პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტებს მულტი-სავალუტო მიმდინარე ანგარიშებს, მულტი-სავალუტო მოთხოვნამდე და ვადიან ანაზრებს, სრულ სასესხო პროდუქტებსა და მომსახურებებს სთავაზობს. აგრეთვე, "ბანკი" პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტებს მისი პარტნიორი საბროკერო კომპანიის, შპს ლიბერთი სიქიურითიზ-ის, მეშვეობით საბროკერო და აქტივების მართვასთან დაკავშირებულ მომსახურებებს უწევს.

2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, "ბანკი" მომსახურებას უწევდა დაახლოებით 1.3 ფიზიკურ პირს, რაც საქართველოში უმსხვილესი საცალო საბანკო კლიენტთა ბაზაა და ასევე 50,000-ზე მეტ იურიდიულ პირს.

სებ-ის მონაცემებით, 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, "ბანკის" საბაზრო წილი საქართველოს საბანკო სექტორში მთლიანი აქტივების მიხედვით 6.6%-ს, წმინდა სესხების მიხედვით 4.7%-ს, ხოლო მთლიანი კლიენტების ნაშთებისა და დეპოზიტების მიხედვით 10.2%-ს შეადგენდა. 2012 წლის 31 მარტის

მდგომარეობით, "ბანკი" მთლიანი აქტივების მიხედვით საქართველოში სიდიდით მეოთხე ბანკი იყო, რომლის აქტივებიც 808.2 მილიონ ლარს შეადგენდა.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია "ბანკის" საბაზრო წილი მთლიანი აქტივების, წმინდა სესხების და კლიენტების დეპოზიტებისა და ნაშთების მიხედვით სხვადასხვა პერიოდში, რომელიც შედგენილია სეზონის მიერ გამოქვეყნებული საბანკო სექტორის მონაცემთა მიხედვით.

	30 სექტემბერი 2009	31 დეკემბერი 2009	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2011	31 მარტი 2012
მთლიანი აქტივები	3.5%	4.1%	5.1%	5.9%	6.6%
წმინდა სესხები	1.7%	1.9%	2.9%	4.5%	4.7%
კლიენტების დეპოზიტები და ნაშთები	5.8%	6.2%	7.0%	8.7%	10.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ "ბანკი" 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული თანდათანობით იუმჯობესებდა საბაზრო წილს და იმყარებდა პოზიციებს საქართველოს საბანკო სექტორის წარმომადგენლებს შორის.

2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში 19 ბანკი იყო რეგისტრირებული, რომელთაც სეზონის მიერ გაცემული საბანკო ლიცენზია გააჩნდათ, რაც მათ საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლებას აძლევს. სეზონის მონაცემებით, 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს ყველა ბანკის მთლიანი აქტივების ჯამურმა მოცულობამ დაახლოებით 12.5 მილიარდი ლარი, ხოლო ხუთი უმსხვილესი ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით საქართველოს საბანკო სექტორის ჯამურ მთლიან აქტივებში 80.8% შეადგინა.

"ბანკი" თავის ძირითად კონკურენტებად განიხილავს სს საქართველოს ბანკს, სს თიბისი ბანკს, სს პროგრედიტ ბანკს, სს პრივატბანკს, სს ბანკ რესპუბლიკას, სს ვითიბი ბანკს, სს კორსტანდარტ ბანკს, სს ბაზისბანკს და სს ბანკ კონსტანტას.

"ბანკი" არის საქართველოს საბანკო ასოციაციის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საქართველოში ამერიკის სამრეწველო პალატის, საქართველოს SWIFT-ის მომხმარებელთა ეროვნული ასოციაციის, საქართველოს დილერთა ასოციაციის და სხვა ორგანიზაციათა წევრი. "ბანკი" MasterCard-ის და VISA International-ის წევრია შესაბამისად, 2007 და 2005 წლებიდან. 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, "ბანკს" 22 საერთაშორისო საკორესპონდენტო ანგარიში ჰქონდა გახსნილი 8 ქვეყნის ბანკთან, მათ შორის Commerzbank-თან და Deutsche Bank-თან.

"ბანკის" კონკურენტული უპირატესობები

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ "ბანკს" შემდეგი კონკურენტული უპირატესობები გააჩნია:

ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ფართო ქსელი

2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, "ბანკს" საქართველოში ყველაზე ფართო ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელი გააჩნდა, რომელთა რაოდენობამ 290 შეადგინა და მოიცავდა ფილიალებს სრული საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით, სერვის-ცენტრებს, შედარებით მცირე გაყიდვის წერტილებს და 95 "ლიბერთი ექსპრესის" მობილურ ფილიალს. მენეჯმენტს სჯერა, რომ "ბანკის" ფართო ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოში საცალო და კორპორატიული კლიენტების მოსაზიდად და მნიშვნელოვანი საბაზრო წილის

შესაწარმუნებლად სახელფასო, ფულადი გზავნილების და კომუნალური თუ სხვა გადასახადების მომსახურების კუთხით.

მომხმარებელთა დიდი ბაზა

”ბანკი” მომხმარებელთა რაოდენობით წამყვანი ბანკია, რომელიც 4.4 მილიონი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში 1.3 მილიონზე მეტ ფიზიკური პირის ანგარიშს და 50,000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

მრავალფეროვანი და ინოვაციური საბანკო პროდუქტები

”ბანკმა” 2010, 2011 და 2012 წლებში მრავალი ინოვაციური პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, საქართველოში მაღალ-კონკურენტული საბანკო პროდუქტებია და მნიშვნელოვანი ფაქტორია მომხმარებელთა მოსაზიდად და შესაწარმუნებლად.

გამოცდილი მმართველი გუნდი

”ბანკის” უმაღლესი მენეჯმენტის გუნდი 25-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, ეროვნული საბანკო და საერთაშორისო საინვესტიციო საბანკო გამოცდილების მქონე პროფესიონალისგან შედგება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ”ბანკის” ზრდის უზრუნველსაყოფად.

5. "ემიტენტის" ფინანსური ანგარიშები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია "ბანკის" 2011 და 2010 წლების ფინანსური შედეგების შესახებ აღებულია "ბანკის" აუდიტირებული ფინანსური ანგარიშებიდან, რომელიც შედგენილია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, ხოლო "ბანკის" 2012 წლის ნახევარწლიური ფინანსური შედეგები - ამავე პერიოდის "ბანკის" არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშებიდან.

"ბანკის" 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	2011	2010
აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	136,715	139,271
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	23,463	7,508
კლიენტებზე გაცემული სესხები	324,240	159,166
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:		
- გასაყიდად არსებული	411	717
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	100,805	83,860
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	70	-
საინვესტიციო ქონება	25,021	21,115
ძირითადი საშუალებები	97,201	92,165
არამატერიალური აქტივები	6,155	5,357
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	637	630
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	762	1,610
წინასწარი გადახდები	7,891	5,614
სხვა აქტივები	9,864	13,772
სულ აქტივები	733,235	530,785
ვალდებულებები		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	21,212	77,318
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	603,436	385,445
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	-	182
ანარიცხები	99	69
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	144	102
კაპიტალში პირობითი მონაწილეობა	19,150	19,150
სხვა ვალდებულებები	16,418	13,909
სულ ვალდებულებები	660,459	496,175
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	42,708	28,858
დამატებით შუქანილი კაპიტალი	32,809	19,113
გამოსყიდული აქციები	-	(3,371)
აკუმულირებული სარალები	(24,504)	(32,692)
სხვა რეზერვები	21,763	22,702
სულ კაპიტალი	72,776	34,610
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	733,235	530,785

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	2011	2010
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	79,347	45,771
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11,989	3,268
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,923	1,148
	94,259	50,187
საპროცენტო ხარჯი		
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	(45,352)	(24,299)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(4,268)	(4,129)
კაპიტალში პირობითი მონაწილეობა	(2,792)	(535)
